

საქართველოს იურისტთა კავშირი

GEORGIAN LAWYERS' UNION



СОЮЗ ЮРИСТОВ ГРУЗИИ

ქურნალი გამოდის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის
ტექნიკური მხარდაჭერით

The journal is edited with the technical support of United Nations High
Commissioner for Refugees

Журнал выходит при технической поддержке Верховного Комиссариата ООН
по делам Беженцев



«სამართლა»

სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ქურნალი

“LAW”

Scientific-practical juridical journal

“ПРАВО”

Научно-практический юридический журнал

№8, 2003

ISSN 0868-4537

© ქურნალი „სამართლა“, 2003

© Journal “Law”, 2003

© Журнал “Право”, 2003

მისამართი: 380094, თბილისი, მიცხევიჩის ქ. №29^a

Address: 29^a Mitskevichi str., Tbilisi, 380094

Адрес: 380094, Тбилиси, ул. Мицкевича №29^a

Phone/Fax 39 19 92 E-mail: glu@wanex.ge

ს ა მ ი მ ბ ე ლ ი

საპონსტიტუციო სამართალი

მანანა ხევდელიძე – სამხედრო სამართლის ზოგიერთი საკითხი საქართველოს სამართლის სისტემაში 6

სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ზეიად გაბისონია – მხარეთა წების ავტონომიის ცნება საერთაშორისო კერძო სამართალში 9

დაგით მუაფანაძე – კავშირის დაფუძნება 12

მაგა გარტოზია – საქორწინო ხელშეკრულება (რუსეთის ფედერაციის მაგალითზე) 16

გლადიოსერ ლომიძე – განძი – საკუთრების შექნის წყარო 19

ალექსანდრე იოსევლიანი – საჯარო წესრიგი მხარეთა წების ავტონომიის პრინციპთან მიმართებაში სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართლის მიხედვით 23

დაგით გეფერიძე – ავიაკომპანიების მიერ კოდების ერთობლივი გამოყენება 27

ირმა გელაშვილი – ხელოვნური განაყოფიერება და სამართლებრივი პროცედურები 29

მაია მგელაძე – ტურისტის დაზღვევა 31

გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი) – საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით (საერთაშორისო და რამდენიმე უცხო ქვეყნის შიდასახელმწიფო ორგანიზაციის სამართლის სივრცეში) 35

სისხლის სამართალი, პრიმიტივობი

გურამ ქარქაშვიძე – ძარცვისა და ყაჩაღობის დროს მტევლად აყვანილის გამოხსნაზე მომლაპარაკებელი ხელმძღვანელის

როლი და მნიშვნელობა 41

ზაზა ბერთაშვილი – ევროკავშირის ქვეყნებში ნარკოდამოკიდებულ სამართალდამრღვევთათვის გათვალისწინებული

პატიმრობის ალტერნატიული სასჯელები 45

დარეჯან ლეგიაშვილი – ტერორიზმი – თანამედროვეობის გლობალური საფრთხე 49

გახაბერ ქეშიძაშვილი – მოქმედებიდან გადასრა (aperratio ictus) და შეცდომა ობიექტში (error in objecto) 51

ელზა ჩახანიძე – უკანონო სამეწარმეო საქმიანობა 60

სისხლის სამართლის პროცესი,

პრიმიტივობისათვის

ნუგზარ გაბრიჩიძე – ოჯახურ კონფლიქტურ სიტუაციაში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ზოგიერთი თავისებურება 63

ალექსანდრე ეგაშილაგა – მტკიცებულება სისხლის საპროცესო სამართალში 67

კობა ბუაძე – მტკიცების ფორმირებისა და დაკითხვის ზოგიერთი თავისებურება სისხლის სამართლის პროცესში 70

ნინო გოგნიაშვილი – ბეჟან ზარაზიშვილის ზოგიერთი მოსაზრება მოწმის ჩვენების ფიქოლოგიასთან დაკავშირებით 72

ირაკლი აბესაძე – სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში. არსებული წინააღმდეგობები 76

აღმინისტრაციული სამართალი

ციალა ჩქარეული – ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეების განხილვა 79

ხათუნა ლორია – ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უფლებამოსილი ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით 82

ალექსანდრე ჩხიტაჭური – საბაჟო ურთიერთობა ფეოდალურ საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა) 85

საერთაშორისო სამართალი

მამუკა შენგელია – სან-რემოს სახელმძღვანელო და ნეიტრალური სახელმწიფოების სტატუსი 88

კონსტანტინე კორკელია – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია და საქართველო 91

თორნიკე ქეშელაგა – საქონლის გადააღვილების თავისუფლება ევროგაერთიანებაში (გამოცდილება და პროცედურები) 95

სასამართლოსა და სამართლის ისტორია, თორიია

გიორგი თუმანიშვილი – ცნების დეფინიციის საკითხი სამართლის ასპექტში 99

ირმა გილაშვილია – გიორგი წერეთლის ცხოვრების, მოღვაწეობის და პოლიტიკურ-სამართლებრივი მსოფლმშედველობის საკითხები 103

Rezume 109

Search guide

CONSTITUTIONAL LAW

Manana Khvedelidze – Certain Questions of Military Legislation in Georgian Legislative System 6

CIVIL LAW, PROCEDURE

Zviad Gabisonia – Autonomy of Parties' Will in the International Private Law 9

David Mzhavanadze – Foundation of Union 12

Maka Kartozia – Marriage Contract (Case Studies on Russian Federation's Sample) 16

Vladimer Lomidze – Treasure – Source of Purchasing Property 19

Alexander Ioseliani – Public Policy in Relation to Autonomy of Parties' Will as Regards to Contract Conflict of Laws 23

David Geperidze – Code Shearing by Airline Companies 27

Irma Gelashvili – Artificial Fertilization and Legal Problems 29

Maia Mgelandze – Insurance of a Tourist 31

George Tumanishvili (junior) – About Some Issues Related to Contract of Marriage (International Aspect and Domestic Law of Several Foreign Countries) 35

CRIMINAL LAW, CRIMINOLOGY

Guram Karkashadze – Role and Importance of Leader of Negotiations on Liberation of Person taken in Hostage during Robbery and Burglary 41

Zaza Berozashvili – Alternative Punishments of Imprisonment for Drug Abuser in the States of European Union 45

Darejan Lekashvili – Terrorism, the Global Danger for our Contemporaneity 49

Kakhaber Keshikashvili – Aberratio Ictus and Error in Objeto 51

Elza Chachanidze – Illegal Entrepreneurial Activity 60

CRIMINAL PROCEDURE, CRIMINALISTICS

Nugzar Gabrichidze – Some Characteristics of Investigation and Judicial Inquiry of Crime Committed in Family Conflict Situation 63

Alexander Kvashilava – Evidence in Criminal Procedure 67

Koba Buadze – Some Characteristics of Testing and Formulation of Proof in Criminal Procedure 70

Nino Gogniashvili – Bezhan Kharazishvili's Discussions about the Psychological Aspects of Witness Testimony 72

Irakli Abesadze – Civil Action in Criminal Case. Existing Contradictions 76

ADMINISTRATIVE LAW, PROCEDURE

Tsiala Chkareuli – Legal Investigation of Administrative Offences 79

Khatuna Loria – The Executive Powers of the Administrative Act According to Georgian Legislation 82

Alexander Chkhitauri – Customs Relation in Feudal Georgia (General Overview) 85

INTERNATIONAL LAW

Mamuka Shengelia – San-Remo Guidance and the Status of Neutral States 88

Konstantin Korkelia – European Convention on Human Rights and Georgia 91

Tornike Keshelava – Free Movement of Goods in the European Community (Experience and Problems) 95

HISTORY OF STATE AND LAW, THEORY

George Tumanishvili – Issue of Concept Definition in the Aspect of Law 99

Irma Kilasonia – Issues Concerning Life, Activities and Political-legal Viewpoint of Giorgi Tsereteli 103

Rezume 109

გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი)

საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით

(საერთაშორისო და რამდენიმე უცხო ქვეყნის
შიდასახელმწიფო მომსახულებრივ სამართლის სივრცეში)

შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია პაგის 1905 და 1978 წლის კონვენციების ზოგიერთი მდგომარეობათაგან, რომლებიც უშუალოდ ესება გმოსაყენებელი სამართლის საკითხს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სიბრტყეში, მათ შორის მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობების ასპექტში (ნაწილი I).

ნაწილი II ეძღვნება საფრანგეთის და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების რამდენიმე მუხლს, რომელიც არეგულირებს მეუღლეთა შორის არსებულ კანონით დადგენილ ან/და საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრულ ქრისტიანულ ურთიერთობებს.*

ცავილი I

ხშირია შემთხვევა, როდესაც საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში თავს იჩენენ კოლიზიური საკითხები, საერთაშორისო კერძო სამართლის სიბრტყეში.

* შენიშვნა: ნაშრომში განვებ თავი ავარიდე რუსეთის კანონმდებლობის განხილვას საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში, ვინაიდან შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის კანონმდებლობა თითქმის იდენტურია საქართველოს კანონმდებლობისა, სტატიაში განხილულ საკითხთან (საქორწინო კონტრაქტთან) მიმართებაში. სხვაობა, მდგომარეობს მხოლოდ თვით საქორწინო კონტრაქტის ადგილში სამართლის მეცნიერებათა სისტემაში. კერძოდ კი, თუ საქართველოს სამოქალაქო სამართლის სიბრტყეში საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგების ერთ-ერთ სახეს, ანუ საოჯახოსა მართლებრივ ხელშეკრულებას, თანამედროვე რუსეთის სამოქალაქო და საოჯახო სამართლის სიბრტყეში არსებულმა დაპირისპირებამ მეცნიერების ამ ორ დარგს შორის ერთმნიშვნელოვნად ვერ დაადგინა საქორწინო კონტრაქტის ადგილი სამართლის მეცნიერებათა სისტემაში. დღესდღეობით რუსი მეცნიერების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტი განეკუთვნება საოჯახო სამართლის რეგულირების სფეროს და შესაბამისად მისი სამართლებრივი რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ საოჯახო სამართლის კოდექსის მეშვეობით. აღნიშნული მიღებომა წინაღმდეგობას პოულობს საკანონმდებლო დონეზე, ვინაიდან საოჯახო სამართლის კოდექსი მთელ რიგ შემთხვევებში ესესხება სამოქალაქო სამართლის კოდექსში არსებულ ნორმებს და შესაბამისად დამოუკიდებლად ვერ წყვიტავს საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებს. ზემოაღნიშნული ვითარება და არსებული მდგომარეობა რუსულ სამართალში არ წარმოადგენს წინამდებარე სტატიის შესწავლის საგანს და გამომდინარე ამ უკანასკნელიდან, ქვემოთ, ამაზე საუბარი არ მექნება.

ამავდროულად სურვილით, რომ შიდასახელმწიფო უცხოური კანონმდებლობა შეძლებისდაგვარად შესატყვისობაში იყოს მოყვანილი „მსოფლიოს სამართლებრივ პრაქტიკასთან“, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და ასევე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმატიულ აქტებთან.

გამოვთქამ მოსაზრებას, რომ ზემოაღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში არსებულ საერთაშორისო კერძო სამართლის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმატიული უცხოური კანონის ტენდენციასთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მინდა თქვენი ყურადღება შევჩერო რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს აქტები არცოუ ისე ახლო წარსულში არიან მიღებულინა.

ერთ-ერთი პირველი კონვენცია “Convention relating to conflicts of laws with regard to the effects of marriage on the rights and duties of the spouses in their personal relationship and with regard to their estates”, რომელიც ეძღვნება საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებს, კრძოლ კი, საქორწინო კონტრაქტს მიღებულ იქნა ჰაგაში 1905 წლის 17 ივნისს. ზემოაღნიშნული კონვენცია ეხება კანონთა კოლიზის საკითხებს მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში. ამ კონვენციის სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამოსავალ წერტილს იღებს შესაბამის შიდასამართლებრივ კანონმდებლობებიდან. კონვენციის პირველივე მუხლებიდან ნათლად ჩანს საქორწინო კონტრაქტის მოქმედების პირობები. კონვენციის მრავალი ნორმა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხვა რამ (სხვა განსხვავებული წესი) არ არის დადგენილი საქორწინო კონტრაქტით. აქედან გამომდინარე მკვიდრება პრინციპი, რომ კონვენციის ესა თუ იმ მუხლები იმოქმედებენ მხოლოდ საქორწინო კონტრაქტის არარსებობისას. კონვენცია დიდ ყურადღებას უთმობს ასევე, თვით საქორწინო კონტრაქტს, ასევე, მის ბათილობის საკითხს.

1905 წლის ჰაგის კონვენცია ადგენს საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში კოლიზიურ პრინციპს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლე სხვა ქვეყნის მოქალაქე, მეუღლეთა შორის დადგებული საქორწინო კონტრაქტის ნამდვილობის საკითხი და ასევე კონტრაქტიდან გამომდინარე შედეგები განისაზღვრება მეუღლე-ქმრის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. კონვენცია ადგენს, რომ საქორწინო კონტრაქტის ფორმა განსაზღვრული უნდა იყოს იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც საქორწინო კონტრაქტის დადგებასთან დაკავშირებული მო-

ქმედებანი უნდა იქნენ შესრულებული.

მოგვიანებით, კერძოდ კი 1978 წლის 14 მარტს მიღებულ იქნა კონვენცია Convention on the Law Applicable to Matrimonial Property Regimes, რომელმაც უფრო დაწვრილებით შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქორწინო კონტრაქტს, ასევე მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხს, იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

მეუღლეთა ქონების რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ კონვენცია მიგვითოვბს, რომ მასში არსებული ნორმები არ გამოიყენება:

ა) მეუღლეთა საალიმენტო ვალდებულებებთან დაკავშირებით;

ბ) მეუღლეთა მემკვიდრეობით უფლებებთან დაკავშირებით;

გ) მეუღლეთა სამართალუნარიანობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ნორმა ასახავს იმ ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ტენდენციას და სულისკვეთებას, რომლებშიც არსებობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.

ადსანიშნავია, რომ აღნიშნული გაიზიარა ასევე ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაც და საქორწინო კონტრაქტის ცნების განსაზღვრისას ზემოაზნენები საკითხების მიმართ არ მისცა მზარეულს უფლება მათი სურვილისამებრ (კონტრაქტის მეშვეობით) მოეწერიგებინა ეს ურთიერთობანი.

1978 წლის კონვენცია ადგენს, რომ ქორწინების განმავლობაში მეუღლეების მიერ შეძენილი ქონების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართლი, რომელიც მათ აირჩიეს ქორწინების დროს (ფრაზა „ქორწინების დროს“ გულისხმობს ქორწინების ოფიციალური (ამა თუ იმ სახელმწიფოში, სათანადო, უფლებამოსილი ორგანოს მიერ განშორუებულ) რეგისტრაციის მომენტს). ამავდროულად კონვენციაში აღიარებულია მეუღლეთა უფლება, რომ მათ საქორწინო კონტრაქტში მოახდინონ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა. აქვე კონვენცია ადგენს გამოსაყენებელი სამართლის ჩამონათვალს. ანუ მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ:

1. იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელსაც ეროვნებით მიერუთებულია ერთ-ერთი მეუღლე არჩევანის გაკეთების მომენტში;

2. იმ სახელმწიფოს სამართალი, რომლის ტერიტორიაზეც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, სამართლის არჩევის მომენტისათვის;

3. იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ტერიტორიი-

აზეც ერთ-ერთმა მეუღლემ ქორწინების შემდეგ, პირველად მიიღო მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

კონვენცია ადგენს ისეთ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც, სამართალი, რომელიც იქნა არჩეული საქორწინო კონტრაქტის დადების დროს, გამოყენებული იქნება მეუღლეთა მიერ ერთად ცხოვრების განმავლობაში შეძენილი მთელი ქონების მიმართ. აქვე კონვენცია „ამბობს“, რომ: უძრავი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ განკარგვასთან დაკავშირებით გამოყენებული უნდა იყოს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მდებარეობს აღნიშნული უძრავი ქონება. კონვენციის მე-4, მე-5 მუხლებში გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების მიმართ გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ეროვნებით მიეკუთვნება ორივე მეუღლეთაგანი. კონვენცია უფლებას აძლევს მეუღლებს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე მის შემდეგაც (ქორწინების პერიოდში) დადონ საქორწინო კონტრაქტი და აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი, რომლითაც რეგულირებულ (მოწესრიგებულ) იქნება მათი ქონებრივი ურთიერთობანი.

იმ შემთხვევისათვის, როდესაც მეუღლებს არ აურჩევით გამოსაყენებელი სამართალი ან/და არ დაუდიათ საქორწინო კონტრაქტი, მთელ რიგ შემთხვებთან ერთად, კონვენცია ასევე მიგვითოთებს, რომ გამოყენებული უნდა იყოს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მეუღლებს აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იმ პირობით, რომ ეს ადგილი მათ მიერ „საცხოვრებლად გამოიყენებოდა“ სულ მცირე, ათი წლის განმავლობაში, ქორწინების შემდეგ. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში პრიმატი ენიჭება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ისინი „ეროვნებით მიეკუთვნებიან“.

1905 წლის კონვენციისაგან განსცვავებით, რომლის მიხედვითაც მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრებოდა მხოლოდ მათი შიდასახლმწიფოებრივი სამართლით, 1978 წლის კონვენცია უფრო ფართოდ უყურებს აღნიშნულ საკითხს და აძლევს მეუღლებს უფლებას, რომ მათ შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის გამოსაყენებელი სამართალი იყოს იმ ქვეყნის სამართალი, რომლის სასარგებლოდაც მეუღლები გააკეთებენ არჩევნის.

აქვე უნდა აღინიშნოს 1978 წლის კონვენციის მე-11 მუხლი, რომელიც მიგვითოთებს იმ გარემოების შესახებ, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის უფლება საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული საქორწინო კონტრაქტში და გამომდინარეობდეს კონტრაქტში არსებული დებულებებიდან.

მეტად საყურადღებოდ მიმაჩინია სწვაობა ზე-

მოაღნიშნული ორი კონვენციის მიღვომაში, იმ შემთხვევისათვის, როდესაც მეუღლებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი. 1905 წლის კონვენცია ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ: საქორწინო კონტრაქტის არასებობისას, მეუღლეთა ერთად ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონების განკარგვა ხდება მეუღლეთა შიდასახლმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით. პრაქტიკულად ამავე კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო რაც შეეხება ამ კონტრაქტის იურიდიული ძალის საკითხს, იგი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, რომლის მოქალაქეებიც არიან მხარეები. 1978 წლის კონვენცია უფრო ფართოდ უდგება აღნიშნულ საკითხს. ზემოაზნებ საკითხების გადაწყვეტისას იგი ემზრობა ბუსტამანტეს კოდექსში ასახულ იდეებს და პრინციპებს. ძირითადი პრინციპთან განი, რომელსაც ეყდრნობიან ბუსტამანტეს კოდექსი და 1978 წლის ჰავის კონვენცია მდგომარეობს იმაში, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებისას გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება სამართლის სუბიექტთა კონკრეტული და ინდივიდუალური არჩევანით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი გამოიყენებოდა არა მხოლოდ კოლიზიური ნორმის მითიქებით ნაწილთან მიმართებაში.

ნაშილი II

საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებამ ფართო გავრცელება პოვა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში. ბევრი ქვეყანა იცნობს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტს. არც მეცნიერებს და არც კანონმდებლებს არ აქვთ ერთიანი ჩამოყალიბებული მიღომა საქორწინო კონტრაქტის არსებობის საჭიროებასთან დაკავშირებით. მართალია, უმრავლესობა აღიარებს მისი არსებობის აუცილებლობას, მაგრამ ამავლორულად ზოგიერთი მითხვების, რომ ზემოაღნიშნული კონტრაქტის არსებობით მეუღლებისათვის არჩევანის მინიჭება ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების საკითხში ეწინააღმდეგება საოჯახო სამართლის „მქაცრ მოთხოვნებს“, რომელიც მოწოდებულია დაცვას საოჯახო ურთიერთობანი, მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების ასპექტშიც. ეს ტენდენცია აისახა საკანონმდებლო დონეზეც. მაგალითად, შევიცარიაში 1970 წლის განხორციელებულ იქნა მცდელობა გაუქმებინათ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ბევრია მსგავსება საქორწინო კონტრაქტის საკითხას მიმართებაში. ერთი შეხედვით შეიძლება ითქ-

ვას, რომ საქორწინო კონტრაქტის რეგულირების საკითხი მეტნა კლებად ერთნაირად ხდება. ძირითადი სხვაობანი გახდავთ მისი სამართლებრივი რეგულირების მოცულობა.

ერთ-ერთ მსგავსებად შემიძლია მივიჩნიო ის, თუ სად არიან განთავსებულნი (განლაგებულნი) ის სამართლის ნორმები, რომელიც ეხება საქორწინო კონტრაქტს. ბევრი ქვეყნისათვის დამახასიათებელია მათი განლაგება სამოქალაქო კანონმდებლობაში. მაგრამ ბუნებრივია, რომ არის გამონაკლისებიც. აღნიშნული საკითხი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია საზღვარგარეთის ქვეყნების დოქტრინებთან, იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც ეხება საოჯახო სამართლის ადგილს სამართლის მეცნიერების სისტემაში.

ბევრი ქვეყნის კანონმდებელი არ იძლევა საქორწინო კონტრაქტის განსაზღვრებას. აღნიშნული განსაზღვრების მოძიება შესაძლებელია მხოლოდ ამ ქვეყნების დოქტრინებში.

აშშ, საფრანგეთი, გერმანიის კანონმდებლობა თავისი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განსაზღვრისას (საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში) კამომდინარებს საქორწინო კონტრაქტის, როგორც ასეთს, გამონაკლისობის პრინციპიდან. ანუ აღიარებულია მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრების უპირატესობის პრინციპი საქორწინო კონტრაქტის არარსებობისას.

სხვა ქვეყნები (მაგ., აესტრია, შვეიცარია) შიდასახელმწიფოებრივ სამართლში ასახავენ ქონებრივი ურთიერთობების სტუდიურობას და მით უფრო საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების დროს, პირიქით, ამაღლებენ საკონტრაქტო რეჟიმის მნიშვნელობის ფაქტს, და მეორეხარისხოვან ადგილს ანიჭებენ კანონით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. ამ ქვეყნებში კანონით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები რეგულირებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მეუღლეთა შორის არ არსებობს საქორწინო კონტრაქტი.

ერთი შეხედვით ამ ორ მიდგომას შორის სხვაობა არ არის, მაგრამ ეს ასე როდია. საქმე ისაა, რომ ეს მიდგომები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმ იდეოლოგიური დამოკიდებულებით, რომელიც ამ ქვეყნების კანონმდებლებს გააჩნიათ კერძო საკუთრების და შესაბამისად მეუღლეთა საკუთრების საკითხთან მიმართებაში.

საფრანგეთის კანონმდებელი მისი სამოქალაქო კოდექსის 1393-ე მუხლში განსაზღვრავს, რომ „...მეუღლებს შეუძლიათ ჩვეულებრივი წესით განაცხადონ“, ანუ არ არის განსაზღვრული (დადგენილი) წესი საქორწინო კონტრაქტის დადგებისათვის. საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედ-

ვით გათვალისწინებულია საერთო წესი, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებების დადგებისათვის. ამგვარად საკმარისია რომ მეუღლებმა განაცხადონ, რომ მათ სურთ „...თავიანთი ქორწინება დაეცემდებაროს“ ერთ-ერთ საკუთრების რეჟიმს, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით. ამგვარად საფრანგეთის სამოქალაქო კონტრაქტის არს პირდაპირ დამოკიდებული ხდის ქონების სამართლებრივი რეჟიმის არჩევის საკითხთან.

საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები ინგლისში ხორციელდება არა მხოლოდ საქორწინო კონტრაქტით, როგორც ასეთი, არამედ ასევე მეუღლებებს შორის ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი მინდობილობით საკუთრების ხელშეკრულებით (Trust)- ის საფუძველზე. საერთო სამართალი იძლევა იმის საშუალებას, რომ პირადი არაქონებრივი უფლებები გარდაიქმნას ქონებრივი ურთიერთობების ობიექტად და შესაბამისად ქონებრივი გარიგების ობიექტად იქცეს. სამართლებრივი ფორმით შესაძლებელია გასხვისებულ იქნეს პირადი არაქონებრივი უფლებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საერთო სამართლის ქვეყნებში დასაშვებია, რომ საქორწინო კონტრაქტში განსაზღვრული იყოს ისეთი დებულებები, რომელიც ერთი შეხედვით კონტინენტური სამართლის ქვეყნების იურისტებისათვის არ შეიძლება გვესახებოდეს საქორწინო კონტრაქტის საგნად, ვინაიდან ისინი განეკუთვნებიან პირად არაქონებრივ უფლებებს და მოკლებული არიან სასარჩელო დაცვის შესაძლებლობას (აქვე მნიშვნელობის შეაცვლა არ შეიძლება იყოს საქორწინო კონტრაქტის საგანი. ამ მოსაზრების ავტორები ხაზს უსვამებ მის (კონტრაქტის) ქონებრივ ხასიათს).

ჩვენთვის საინტერესო საკითხი გახდავთ ის, თუ როგორ ხორციელდება ამა თუ იმ ქვეყნაში საქორწინო კონტრაქტის დადგების წესი, რომელიც განსაზღვრულია ამ ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრ ქვეყნაში გამომუშავებული და განსაზღვრულია საერთო მიდგომა. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1410-ე მუხლი მიგვითოთებს ორივე მხარის დასწრების სავალდებულობაზე, დაუშვებდად მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც მხარები ახორციელებენ ხელმოწერას სხვადასხვა (განსხვავებულ) დროს, მიუხედავად იმისა, რომ კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები დაცული იყოს.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ასევე ითხ-

ოვს ორივე მხარის სავალდებულო დასტრებას და ერთდროულად ხელმოწერის შესრულებას, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამავე კოდექსის 139 4-ე მუხლი გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, რომ კონტრაქტი დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით.

საინტერესოდ მიმაჩნია კონტრაქტის ნოტარიულად დადასტურების საკითხი. გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა შეიძლება ითქვას, რომ არ ითხოვს საქორწინო კონტრაქტის ნოტარიუსის თანდასტრებით დადებას, იგი ითვალისწინებს მხოლოდ ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურებას, ხოლო თვით საქორწინო კონტრაქტის დადების პროცესი შესაძლოა წარიმართოს მხარეების მიერ მათი აღვოკატების დახმარებით. რაც შეეხება საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსს, იგი 139 4-ე მუხლში პირდაპირ მიგვითოთებს, რომ კონტრაქტი დადებულ და ხელმოწერილ უნდა იქნეს ნოტარიუსის თანდასტრებით, რომელიც ახდენს შემდგომ კონტრაქტის ნოტარიულად დამოწმებას.

მინდა აქვე შევეხო კომერციული ინტერესების საკითხს, ვინაიდან მნიშვნელოვნად მიმაჩნია შემდგომში ზოგიერთი დებულების და პრინციპის დანერგვის მიზანშეწონილობა საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში (ამ საკითხზე, კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ნორმათა ადაპტაციის და გადმოტანის მიზანშეწონილობის შესახებ უფრო დაწვრილებით, სუბარი მექნება ცალკე სტატიაში). ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა ყურადღება გავამახვილო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ზემოთნახსენებ 139 4-ე მუხლის მეოთხე (IV) ნაწილშე, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის კანონმდებელი ადგნის იმპერატიულ ნორმას, რომელიც ეხება საქორწინო კონტრაქტის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულებას. გარდა ამისა აღნიშნულ ნორმაში მოცემული არის სანქცია, რომელიც მოჰყვება მის შეუსრულებლობას, რომლის მიზედვითაც თუ საქორწინო კონტრაქტი არ იქნება საჯაროდ გამოქვეყნებული (იგულისხმება, შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მხარე მეწარმეა ან მომავალში აპირებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას), მაშინ მეუღლე-მეწარმის შესახებ გამოყენებული იქნება სასჯელის ის ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საგაჭრო რეესტრის მიმართ. ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა განკუთვნილია სამეწარმეო ურთიერთობათა დასაცავად. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ქონება მკუთვნის თითოეულ პირს საშუალებას იძლევა შეძლებისდაგვარად დაცულნი იყვნენ მესამე პირები, რომლებიც გარიგებებში მონაწილეობენ ერთ-ერთ მეუღლესთან.

შესაძლო სამართლებრივი რეუიშების საკითხთან

დაკავშირებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთის კანონმდებლობა ასევე უფრო დეტალურად ამახვილებს თავის ყურადღებას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის Y ტიტული მოთლინად ეძღვნება იმ საკითხებს, რომელთა შეცვლაც შეუძლიათ მეუღლებს, საერთო საკუთრების რეუიშების არჩევისას. ნუსხა, რომელიც განსაზღვრულია 1497-ე მუხლში ამომწურავია და ითვალისწინებს მეუღლების შესაძლებლობას შეთანხმდნენ, რომ:

1. საერთო საკუთრება შეიცავს მოძრავ ნივთებს და შემოსავლებს;

2. მასზე გავრცელდება ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთო საკუთრების განკარგვისათვეს;

3. ერთ-ერთ მეუღლეს ექნება საშუალება საერთო საკუთრებიდან ამოიღოს გარკვეული ნივთები, ზინის ანაზღაურების ხარჯზე;

4. ერთ-ერთ მეუღლეს ექნება საშუალება მიღლოს წილი საერთო საკუთრებიდან მის გაყოფამდე;

5. მეუღლების მიეკუთვნებათ არათანაბარი წილები;

6. მეუღლების შორის დადგენილი იქნება მთელი ქონების მომცველი საერთო საკუთრება.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის Y ტიტულის III თავი ეძღვნება განცალკევებული საკუთრების რეუიშეს. აღნიშნული რეუიშე კლასიკური სახით წარმოდგენილია 1536-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც თუ მეუღლები საქორწინო კონტრაქტში გააკეთებენ დათქმას განცალკევებული საკუთრების შესახებ, მაშინ თითოეული მათგანი ინარჩუნებს ამა თუ იმ ქინების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის შეუზღუდავ უფლებას.

საფრანგეთის კანონმდებლობის ანალიზისას უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად არც ერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობა არ უდგება ესოდენ სკურპულოზურად საქორწინო კონტრაქტის საკითხს და არ ახდენს მის უფრო დეტალურ რეგლამენტაციას ვიდრე ეს არის საფრანგეთის კანონმდებლობაში საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში.

სხვა ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნის შიდასახლებრივ სამართლიში, მაგ., საქორწინო კონტრაქტის პირბების შეცვლა ან შეწყვეტასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნების კანონმდებლობა ფაქტორივად ერთსულოვანია.

ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს პრინციპს: საქორწინო კონტრაქტი შესაძლებელია შეცვლილ ან შეწყვეტილ იქნეს ნებისმიერ დროს მხარეთა შეთანხმებით, იმ წესის განმეორებით, რომელსაც ადგილი პქნდა მის დადებისას.

დასკვნის სახით გამოყოფ შემდეგის:

1. 1905-დან 1978 წლამდე საერთაშორისო კერძო სამართლის სიბრტყეში არსებითად შეიცვალა მდგომარეობა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობებისას გამოსაყენებელი სამართლის ასპექტში. სქესთათანასწორობის და კერძო საკუთრების აღიარების პრინციპების დაფუძნებული 1978 წლის პაგის №25 კონვენცია "Convention on the Law Applicable to Matrimonial Property Regimes" ახლებურ მიღობას გვთავაზობს მეუღლეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, რომელიც თავის სათანადო ასახვას პოულობს ამა თუ იმ ქვეყნის შიდასახლმწიფოებრივ კოლიზიურ სამართალში.

2. ფრანგული რევოლუციის შედეგად შექმნილი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ეყრდნობა რა ყველა მოქალაქისა თავისუფლებისა და თანასწორობის იდეებს, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობებ ასევე საზელშეკრულებო სამართალში და საკუთრების უფლების აღიარებაში დიდ ყურადღებას უთმობს მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხს და დეტალურად განიხილავს მას. მეტად მნიშვნელოვნად მიმართა ასევე კოდექსის დამოკიდებულება მესამე პირების ინტერესებთან დაკავშირებით და ამ ინტერ-

ესთა დაცვის საკმაოდ სპეციფიური ზერხები, რომელზე გადმოტანა ჯერჯერობით ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო არ ხდება (თუნდაც ქართულ სამართალში).

3. გერმანელმა კანონმდებელმა გაიზიარა ფრანგული სამოქალაქო კოდექსის სულისკვეთება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების საკითხში და სათანადო ყურადღება დაუთმო მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების საკითხს თავისი ქვეყნის სამოქალაქო სამართალში, რამაც დადგებითი ზეგავლენა მოახდინა კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებზე, რომლებმაც გაიზიარეს ამ ორი უდიდესი კოდიფიკაციის ზეგავლენა.

4. საფრანგეთის და გერმანიის ქვეყნების სამოქალაქო სამართალში არსებული ნორმების სათანადო შესწავლის შედეგად შესაძლებელია ზოგიერთი ნორმის ქართულ სამართალში გადმოტანის საკითხის მიზანშეწონილობის განსაზღვრა. ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი ნორმის სათანადო ადაპტაციის შედეგად შესაძლებელია მიღებულ იქნეს უფრო მოქნილი და ქმედითი გარემო მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სიბრტყეში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს სათანადო კვლევა-ძიებანი, რაც უთუოდ წაადგება და სარგებლის მოტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Convention relating to conflicts of laws with regard to the effects of marriage on the rights and duties of the spouses in their personal relationship and with regard to their estates" გამოყენებულია ფრანგული ტექსტი "CONVENTION DU 17 JUILLET 1905 CONCERNANT LES CONFLITS DE LOIS RELATIFS AUX EFFETS DU MARIAGE SUR LES DROITS ET LES DEVOIRS DES ÉPOUX DANS LEURS RAPPORTS PERSONNELS ET SUR LES BIENS DES ÉPOUX", la maison d'édition. Le droit. Paris 1994.
2. Hague Convention of 14 March 1978 on the Law Applicable to Matrimonial Property Regimes. Publishing House. LGB. London 1999.
3. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. Code Civil. La publication officielle. M.E. Paris.1997.
4. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. Bürgerliches Gesetzbuch (BGB). Hamburg. 1999.